ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2015 წლის ბოლოს და 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია შეიქმნა 2014 წლის 14 ივლისს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ. დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

კომისიაში ათი დეპუტატია გაწევრიანებული:

1. მარინე ვეფხვაძე- კომისიის თავმჯდომარე;
2. დავით კიკნაძე;
3. უშანგი ბერაძე;
4. ლენა აბაშიძე;
5. ლადო ტალახაძე;
6. დავით ლურსმანაშვილი;
7. გელა გოლუბიანი;
8. თეიმურაზ კუპრაძე;
9. მიხეილ გელაშვილი;
10. მერაბ ღონღაძე.

ამ ეტაპისათვის ჩატარდა კომისიის 28 სხდომა.

კომისიაში შექმნილია სამუშაო ჯგუფები:

ა) განათლებისა და კულტურის საკითხთა შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი;

ბ) ახალგაზრდულ საქმეთა შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი.

კომისიის წევრებს განსაკუთრებული ყურადღება გვინდოდა დათმობოდა 2016 წლის ბიუჯეტში კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით გომოყოფილ ხარჯებს. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტშიც აქტიურად ვიყავით ჩართულები და მუშაობა ამ მხრივ კვლავ მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, ჩვენი რაიონი ამ სფეროში თვალშისაცემად აქტიური და

წარმატებულია. გვაქვს ძალიან წარმატებული სახალხო თეატრი, ლიტერატურული თეატრი, რომლებმაც წლის განმავლობაში უამრავი ღონისძიება დაგეგმეს და განახორციელეს, როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით და ბევრი სამსახური, რომლებიც ახალგაზრდების კულტურულ-საგანმათებლო კუთხით მუშაობას უწყობენ ხელს (მოსწავლეთა სახლი, სამუსიკო სკოლა, კულტურის სახლი, ხალხური შემოქმედების სახლი, ისტორიული მუზეუმი, ტურიზმის სამსახური, ბიბლიოთეკები).

კომისიამ წლის პირველივე სხდომაზე მხარი დაუჭირა ხარაგაულის სკოლა-გიმნაზიის შენობის სარემონტო სამუშაოებისთვის თანხის გამოყოფას. მიუხედავად იმისა, რომ ეს არაა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონება, ხშირად გვიწევს მსგავსი ღონისძიებების გატარება, რადგან ამ წარმატებულ სკოლაში სწავლობენ ხარაგაულელი ბავშვები, დასაქმებულნი არიან ჩვენი რაიონის მკვიდრნი.

გასულ წელს კომისიამ თხოვნით მიმართა გამგეობას სპორტში განსაკუთრებული მიღწევების მქონე ახალგაზრდებისთვის, დაეწესებინა სიმბოლური ანაზღაურება. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. გასული წლის ზაფხულიდან ოთხი სპორტცმენი იღებდა დაფინანსებას გასული წლის ბოლომდე. წელს კვლავ ეთხოვა აღმასრულებელ ორგანოს შეისწავლოს აღნიშნული პირების წლევანდელი მიღწევები და გაუგრძელოს წამახალისებელი დაფინანსება.

ამ მიზნით კომისიამ მხარი დაუჭირა საბიუჯეტო ცვლილებას სპორტის სამსახურისთვის თანხის, 6000 ლარის, გამოყოფას სპორტში წარმატებული პირებისთვის მიზნობრივად დასახარჯად. სხდომაზე გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ჩაიდოს განსაზღვრული თანხა წარმატებული სპორტცმენების წასახალისების მიზნით და შესაბამის სამსახურს მიეცეს შესაძლებლებობა განკარგოს თანხა იმ დროისთვის არსებული რეალობიდან გამომდინარე. სპორტის განვითარებისა და მართვის სამსახურს არც შენობის მოვლა-შენახვისათვის აქვს საკმარისი თანხა. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას კომისიის წევრებმა გამოთქვეს სურვილი სამსახურს თანხა ამ კუთხითაც დაემატოს.

ამჟამად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 14 სკოლამდელი დაწესებულება ფუნქციონირებს, სადაც 500-მდე ბავშვი იღებს განათლებას.(დასაქმებულია 183 თანამშრომელი: 75 აღმზრდელი და 21 ძიძა). წელს კიდევ ორ სოფელში აშენდა საბავშვო ბაღი, რომელთა გახსნაც, სავარაუდოდ, მომავალი წელს მოხდება. ეს თანხა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ვერტყვიჭალის სკოლამდელი დაწესებულების შენობის საკითხის მოწესრიგება. ეს ბაღი დღეს 48 ბავშვს ემსახურება, მაგრამ დაახლოებით ამდენივე ბავშვი შენობის არქონის გამო ვერ იღებს მომსახურებას.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ვერტყვიჭალის სკოლაში დღის ცენტრის გახსნას. ვფიქრობთ ამ საკითხის მოწესრიგება ბევრ ოჯახს შეუმსუბუქებს ცხოვრების პირობებს იმ ზონაზე.

კომისიის წევრებს სხდომაზე შევთავაზე მუნიციპალიტეტის საუკეთესო სკოლამდელი დაწესებულებისა და სკოლის წარმოჩენის მიზნით შეგვექმნა სამუშაო ჯგუფი და წლის განმავლობაში მოგვენახულებინა ყველა ბაღი და სკოლა, მოგვესმინა მშობლების, პედაგოგების, ბავშვების მოსაზრებები. დეპუტატებმა ამ ეტაპზე თავი შეიკავეს მსგავსი აქტივობისაგან, თუმცა შემდგომ სხდომებზე კვლავ შეიძლება გადაიხედოს ეს ინიციატივა.

გასული წელს საბავშვო ბიბლიოთეკისთვის დავწერე პროექტი „ნორჩი მკითხველი“, რომლის მიზანიც იყო მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის წიგნის შეყვარება, მათთვის კითხვის აუცილებლობის სწორად წარმოჩენა. პროექტი ჩემს მიერ გასული წლის სექტემბრიდან ხორციელდებოდა წლევანდელ ივნისამდე (მთელი სასწავლო წლის მანძილზე) და მასში დაბა ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ ჩართული.

24 თებერვალს კომისია, პირადად ჩემი ინიციატივით, პირველად ხარაგაულში, გამოეხმაურა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში დამკვიდრებულ ტრადიციას და კითხვის საერთაშორისო დღე (მასში მონაწილეთა რაოდენობა 31 მილიონ ადამიანს აღწევს და 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. საქართველო წელს პირველად ჩაერთო ამ ღონისძიებაში) აღინიშნა ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მოწვეული იყვნენ საპატიო ხარაგაულელები, ღვაწლმოსილი ადამიანები, ლიტერატურაზე შეყვარებული ხარაგაულელები, სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც იმსჯელეს წიგნის როლსა და დანიშნულებაზე, წაიკითხეს საკუთარი, თუ ცნობილი პოეტების ლექსები.

7 მაისს, ასევე ჩემი ინიციატივით, რომელიც პირველად კომისიის სხდომაზე დავაყენე, მოსწავლეთა სახლში აღინიშნა პოეზიის დღე. მასში მონაწილეობას იღებდნენ კომისიასთან არსებული „ლიტერატურული წრის“ ახალგაზრდები და მიეძღვნა „ცისფერყანწელთა“ ცხოვრებას და მოღვაწეობას.

კომისიამ რამდენჯერმე დააყენა საკითხი ცენტრალერ ბაღში საბავშვო ანტრაქციონების განთავსების შესახებ. ეს საკითხი შევიდა 2016 წლის ბიუჯეტშიც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ განხორციელდა.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე მხარი დაუჭირეს სოფელ ზვარეში მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკის აშენებას და იქ შესაბამისი ინფლასტრუქტურის მოწყობას. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრს წელს ამერიკიდან „მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენლები ეწვივნენ . მათ მოინახულეს ზვარის მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკის მიმდებარე ტერიტორია და შეთანხმდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომ 25 ივნისიდან 5 აგვისტომდე მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებლად ორმოცდაათი ბავშვი (მათ შორის 7 ამერიკელი) იქნებოდა ჩამოყვანილი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კომისია გამოთქვა მზადყოფნა ამ პროექტის ხელშეწყობისათვის, რომელიც სამომავლოდ წაადგება სოფელ ზვარესაც, ხარაგაულსაც და საქართველოსა და ამერიკას შორის მეგობრობის გაღრმავებასაც უწყობს ხელს.

კომისიაზე განიხილეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებში შექმნილი მდგომარეობა . 235 კურსდამთავრებულიდან წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 18 მედალოსანია. ოქროს მედალი 8 ახალგაზრდამ დაიმსახურა, ვერცხლის- 10-მა . სამწუხაროდ 60 მოსწავლემ ვერ ჩააბარა სასკოლო გამოცდა. ატესტატის გარეშე მოსწავლე არ დარჩენილა მხოლოდ ერთ, მოლითის საჯარო სკოლაში (დაამთავრა 9 ახალგაზრდამ). კომისიაზე დაისვა საკითხი ამ სკოლას გაეწიოს წამახალისებელი თანადგომა, როგორც რესურსცენტრის, ასევე ჩვენი კომისიის მიერ (პადაგოგებსა და მოსწავლეებს ჩაუტარდეთ რაიმე სახის კულტურული აქტივობა).

რამდენიმე წელია ხარაგაულელი ბავშვები მონაწილეობენ „ეტალონის“ კონკურსში; ბოლო ორი წელია ხარაგაულის ეტალონი მოსწავლე მარელისის საჯარო სკოლიდანაა. ამ სკოლასაც ჩვენი მხრიდან ესაჭიროება მეტი თანადგომა.

კომისიამ იმსჯელა სოფელ კიცხისა და სარგვეშის სკოლებში წყლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე და ამჟამად ორივე სკოლაში პრობლემა მოწესრიგებულია.

კომისია პერიოდულად ეცნობა ხარაგაულის ა(ა)პი-ებ-ში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, ისმენს სამსახურების ხელმძღვანელთა მიერ დაყენებულ პრობლემურ საკითხებს და მათი მოგვარების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს გამგეობის სამსახურებთან.

კომისიის წევრებს და გამგეობის პასუხისმგებელ პირებს არაერთხელ ვუამბე საქარიქედის დაწყები სკოლის შენობის ძალიან სავალალო მდგომარეობის შესახებ და

ვითხოვდი მის შეკეთებას და დატვირთვას სოფლისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფუნქციით. მუნიციპალიტეტში საამისო თანხა ვერ მოვიძიეთ, ამიტომ გასულ წელს, გაზაფხულზეც წერილი მივწერე ამის შესახებ განათლების მინისტრს სოფლის მოსახლეობისა და ჩემი კომისიის სახელით. რესურსცენტრის აქტიური თანადგომით წელს სამინისტრომ პროგრამაში ჩასვა სამი სკოლის (კიცხის, ღარიხევისა და საქარიქედის სკოლების მშენებლობა). ვფიქრობ, თუ მოვახერხეთ ამ საკითხის ბოლობდე მიყვანა და მოწესრიგება, ეს იქნება ჩემი და ჩემი კომისიის მიერ გაკეთებული ყველაზე მნიშვნელოვანი, საშვილიშვილო საქმე.

მარინე ვეფხვაძე

5. 12. 2016